**დადგენილება #28/ 2025** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

**დადგენილება N 28/2025**
**თარიღი: 04 ნოემბერი, 2025 წელი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51–ე მუხლის პირველი ნაწილის, 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი, მე–2 და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 57–ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების, 25–ე მუხლის $4^1$ პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „$თ^4$“ და „წ“ ქვეპუნქტების, კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 31.10.2025 წლის მოწერილობისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 04 ნოემბრის N11 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1.დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესი წარმოდგენილი დანართების შესაბამისად.
2. დადგენილება გადაეგზავნოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს.
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი